



მასშავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

პროფესიული განათლების მასშავლებელთა
პროფესიული განვითარება

2014 წლის

პ რ ო გ რ ა მ ა

პროგრამების სამსახური
თბილისი
31 დეკემბერი, 2013

**პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
სახელმწიფო პროგრამა
2014**

1. პროგრამის რეზიუმე.

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება, კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა პროფესიული სწავლების სფეროს თანამედროვე მიდგომებისა და უახლესი მიღწევების მიხედვით.

აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ ფარგლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში (2011-2013) მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

2014 წლიდან „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ აგრძელებს მოქმედებას დამოუკიდებელი პროგრამის სტატუსით და მისი მასშტაბი მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

პროგრამა ემსახურება პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას, რისი შედეგიც სტუდენტების უმაღლეს დონეზე მომზადება და თვითრეალიზებაა. პროფესიული განათლების მასწავლებელი ასწავლის ზოგად საგნებს, თეორიულ ანუ სპეც. საგნებს ან უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების ტრენინგს პროფესიულ პროგრამაში; პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სახელმძღვანელო პრინციპია ერთიანი მიდგომა პროფესიული სტანდარტებით განსაზღვრული ყველა უნარის განვითარების მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია პროფესიულ სტანდარტებში და პროფესიული განათლების მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებში. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების პროგრამის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული განვითარების ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებას როგორც ზოგადი პედაგოგიური უნარების, ასევე პროფესიული საგნობრივი კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით.

1.1. პროგრამის აქტუალობა. პროფესიული განათლების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული მასწავლებლების მომზადება და განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; კომპეტენციის განვითარების მიზნით სისტემატური და სისტემური ტრენინგების

უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში; პროფესიული განათლების მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლება და მიმზიდველობის გაზრდა, არსებული კადრების მოზიდვის, არსებული კადრების შენარჩუნების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მოცემულ ეტაპზე ამ სფეროს ერთ-ერთი არსებული გამოწვევაა პროფესიული სწავლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოუყალიბებლობა, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პრიორიტეტული უნდა გახდეს ყველა დონეზე, აქედან გამომდინარე, აუცილებელია უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ეფექტური და შედეგიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება როგორც პედაგოგიური უნარების, ასევე პროფესიული საგნობრივი კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ პროფესიული სწავლების მასწავლებელთა ერთ-ერთ უმთავრეს აკადემიურ საჭიროებას წარმოადგენს საგნობრივი კომპეტენციების ამაღლება. არსებული პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა უშუალოდ პასუხობს პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საჭიროებებს და მიმართულია მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაზე.

1.2. პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისად.

1.3. პროგრამის ამოცანები

- პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების სისტემატური გაცნობა;
- ვიზიტების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, საზაფხულო სკოლის ორგანიზება/ჩატარება;
- პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსების ორგანიზება და ჩატარება; ტრენინგების მონიტორინგი;
- კვლევები;
- საჯარო და კერძო კოლეჯების წარმომადგენელთა თანამშრომლობის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან; საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

1.4. პროგრამის სამიზნე ჯგუფი - საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები.

1.5. პროგრამის განმახორციელებელი ერთეული - პროგრამის ადმინისტრირებას განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს პროგრამის კოორდინატორი.

1.6. პროგრამაში ჩართული მხარეები და პარტნიორები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, პროფესიული ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები

2. 2014 წელს განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

2.1. თანამშრომლობა და მონაწილეობა პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტის - „პროფესიულ მასწავლებელთა მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფციის“ პროექტზე და მისი საბოლოო ვერსიის შემუშავება/დამტკიცების პროცესში, რომელიც განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების (UNDP) მიერ; ჩართულობა „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ პროგრამის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის (პედაგოგიური უნარები) ახალი რედაქციის შემუშავებასა და გამოცემაში.

2.2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები

- ჩატარდება ტრენინგი პედაგოგიურ უნარებში პროფესიული განათლების მენტორ-მასწავლებლებისათვის, რომლებიც მომზადებული იქნენ 2013 წ. სექტემბერ-ნოემბერში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის და ტრენინგ-კურსის - „პროფესიული პედაგოგიკა

და დიდაქტიკა - მენტორ-მასწავლებელი პროფესიული სასწავლებლებისათვის“ ფარგლებში.

- ჩატარდება საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში (ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით).
- ჩატარდება საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.
- ჩატარდება საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები პედაგოგიური კვლევის მეთოდებში.
- ჩატარდება საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში.
- ჩატარდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა საგნობრივი მიმართულების ტრენინგები თანამედროვე ტექნოლოგიებში, პრიორიტეტული მიმართულებით, 2012-2013 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ - ფარგლებში გადამუშავებული ახალი სტანდარტების საფუძველზე; ტრენინგ-კურსების ორგანიზება მოიცავს ტრენინგ-მოდულების შექმნას პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით, შესაბამისი დარგის კვალიფიცირებული ექსპერტ-კონსულტანტების დახმარებით, სატრენინგო მასალების მომზადებასა და დაბეჭდვას; ტრენინგების ეფექტურად დაგეგმვას და ჩატარებას.

2.2. კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები

- პროგრამის ფარგლებში ჩატარდება პროფესიული სწავლების სფეროს წარმომადგენელთა მორიგი კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები, დირექტორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შუალედური და შემაჯამებელი კონფერენციების მიზანია განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია, მიმდინარე საკითხების და პრობლემების განხილვა, შედეგების შეჯამება, შეფასება, გამოცდილებისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარება, საქმიანი კონტაქტების დამყარება და განმტკიცება საჯარო

და კერძო კოლეჯებს შორის, ასევე სფეროში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან, მომავალი ღონისძიებების უფრო ეფექტური დაგეგმვა.

- ჩატარდება დარგობრივი სემინარები და სამუშაო შეხვედრები პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის თანამშრომლების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით. სამუშაო შეხვედრები პროგრამის ყველა აქტივობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს კოორდინირებულ მოქმედებას და პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას.

2.3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საზაფხულო სკოლის ორგანიზება.

2014 წელს ასევე დაგეგმილია საზაფხულო სკოლის პროექტის განხორციელება, რომელშიც შეიკრიბებიან პროფესიული კოლეჯების მასწავლებლები და სტუდენტები შერჩეული პროფესიების მიხედვით. საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოხდება წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება კერძო და საჯარო სასწავლებლების მასწავლებელთა მიერ. საზაფხულო სკოლებში მონაწილეობას მიიღებენ ასევე სასწავლებლების წარმატებული სტუდენტები.

2.4. კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების განსაზღვრის მიმართულებით

- პროგრამის ფარგლებში ჩატარდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების კვლევა წინასწარ შერჩეული საგნობრივი მიმართულებით, რის საფუძველზეც დაიგეგმება სატრენინგო მოდულების თემატიკა და განხორციელდება შესაბამისი დარგის მასწავლებელთა საგნობრივი ტრენინგები;

2.6. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

აქტიური თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან (როგორიცაა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ და სხვ.) ექსპერტული დახმარების კუთხით, რაც მოიცავს ფართო კონსულტირებას პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების საერთაშორისო სტანდარტებთან და წარმატებულ გამოცდილებასთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები.

- პროფესიული განათლების მენტორ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი პედაგოგიურ უნარებში;
- საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში (ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით). ტრენინგი ასევე ჩაუტარდათ კერძო კოლეჯების წარმომადგენლებს;
- საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში; ტრენინგი ასევე ჩაუტარდათ კერძო კოლეჯების წარმომადგენლებს;
- საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი პედაგოგიური კვლევის მეთოდებში; ტრენინგი ასევე ჩაუტარდათ კერძო კოლეჯების წარმომადგენლებს;
- ჩატარდა საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში.
- ჩატარდა დარგობრივი სამუშაო შეხვედრები/სემინარები საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა მინიმუმ 10%-მა გაიარა საგნობრივი ტრენინგები თანამედროვე ტექნოლოგიებში პრიორიტეტული პროფესიების მიმართულებით, გადამუშავებული პროფესიული სტანდარტების საფუძველზე.
- ჩატარდა პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა შუალედური და შემაჯამებელი კონფერენციები პროფესიული სწავლების სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.
- მოეწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საზაფხულო სკოლა პრიორიტეტული პროფესიების მიხედვით.

4. მონიტორინგი და კვლევები.

პროგრამის აქტივობების განხორციელების და სამუშაოების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება ეტაპობრივად საჭიროებიდან გამომდინარე.

ჩატარდება მასწავლებელთა ტრენინგების პროცესის სისტემატური მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.